საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/08/2025

MES 6 25 0001015421

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის №374865 (ცვლილება ბრძანებაში №388349, 08/04/2025) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, ,,განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

„სასურველია, გადაიხედოს და შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შინაარსობრივი თვალსაზრისით.“ აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია 1.1 კომპონენტის შეფასების ცვლილება.

ბ) საბჭომ 1.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

„სასურველია შემუშავდეს და დამტკიცდეს სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმიდან ციფრულ მიდგომაზე გადასვლის გეგმა, იმისათვის, რომ სწავლის შედეგების შეფასების პროცესი იყოს ერთიანი, ყოვლისმომცველი და მდგრადი. ასევე, რეკომენდებულია შემუშავდეს მონაცემთა შენახვის და კონფიდენციალურობის შიდა რეგულაციები.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გ) საბჭომ 1.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია შეცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

"რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს შორის მაქსიმალური ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები".

დ) საბჭომ 1.5 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია შეცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

"რეკომენდებულია, საგნობრივ სილაბუსებში გადაიხედოს და შეიცვალოს მიზნები და სწავლის შედეგები შინაარსობრივი თვალსაზრისით".

საბჭომ 1.5 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

აღნიშნულს არ გამოუწვევია 1 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 25 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, ,,განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

1. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს სხდომის №990502 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
2. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, მათ შორის ხელახლა ჩამოყალიბდეს რამდენიმე პუნქტის ფორმულირება სტატისტიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს შორის მაქსიმალური ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- რეკომენდებულია, საგნობრივი მეთოდოლოგიის კურსებს დაემატოს რემედიაციასთან და სწავლების უნივერსალურ დიზაინთან დაკავშირებული შინაარსი, რათა უკეთ მოხდეს პროფესიული სტანდარტებითა და პროგრამის სწავლის შედეგებით რეკომენდებული კომპეტენციების მიღწევა.
- რეკომენდებულია, საგნობრივ სილაბუსებში გადაიხედოს და შეიცვალოს მიზნები და სწავლის შედეგები შინაარსობრივი თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია, რომ ძირითად სასწავლო გეგმაში შევიდეს საგანი, რომელიც ეძღვნება მასწავლებლის პროფესიის განმსაზღვრელი სამართლებრივი ჩარჩოს ცოდნას და მის სავალდებულო მოვალეობებს საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტში, ან

- რეკომენდებულია, რომ არსებული სასწავლო პროგრამები მნიშვნელოვნად გაძლიერდეს შესაბამისი შინაარსით.
- რეკომენდებულია, სხვადასხვა საგნის სილაბუსებში დაკონკრეტდეს შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმები და შეესაბამებოდეს ვალიდურობას და ობიექტურობას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სავალდებულო საგნების თემები და სასწავლო ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, პროგრამის კოორდინატორებმა უზრუნველყონ, რომ სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობდეს დოქტორის ხარისხს შესაბამის საგნობრივ სფეროში.
- რეკომენდებულია დისტანციური/ელექტრონული/ჰიბრიდული სასწავლო პროცესისთვის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 ივლისიდან.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 ივლისი.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე